ფასი ყველგან 10 კ.

ჩვენი სალამური

№ 1 იუმორისტული ალმანახი

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Тип. Шрома, для Алманаха.

რედაქცია აცხადებ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ დღესასწაულების გამო ამ ნომრისათვის განზრახული კარიკატურები ვერ მოესწრო.



ეთეროვანი პოეტი.

გიორგი გვაზავა.

ბოდიში.

ვიდრე ამ საყურადღებო გვამის ცხოვრებათა აღწერას შევუდგებოდე, საჭიროთ ვსცნობ მკითხველის წინაშე ბოდიში მოვიხადო. ბოდიშის მოხდა, რასაკვირველია, გამოწვეულია არა იმით, რომ ბიოგრაფიისათვის ავირჩიე ბ-ნი გვაზავა, არამედ იმით, რომ მისი მრავალ მნიშვნელოვანი და უძღრესად საყურადღებო არსებობა, ვერ გვაქვს ჯეროვანად განმარტებული. საზოგადოთ საჭიროა იცოდეთ, რომ იუმორისა და სატირის საკვებ სასაზრდოოთ ბუნებას არსად და არასოდეს არ შეუქმნია ისეთი უხვი, ისეთი დაუშრეტელი წყარო, როგორსაც ჩვენი ჰაეროვანი მგოსანი წარმოადგენს. მისი ხანგრძლივი საზოგადო მოღვაწეობა ეს ხომ ერთი სასაცილო, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ საოხუნჯო მოთხრობაა, ხოლო კერძოთ მისი „პოეზია“ ე. ი. პოეტური ალმაფრენა, ხომ ქათმებსაც კი გააცინებს, არა თუ ხორც შესხმულ ადამიანს.

და აი, დროს უქონლობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით ამ საინტერესო მოღვაწის ჯეროვანი სისწორ-სიცხადით დასურათება, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით მკითხველ საზოგადოების წინაშე.

სიყრმე გიორგისა.

,ძნელი მოვალეობა დამაკისრა ბ-ნმა ეშმაკმა! იონა მეუნარგიას გარეშე, ჩვენში შესაფერი ბიო-

გრაფიების წერა თითქმის აღარავის შეუძლია. პრესაში არავითარი საჭირო მასალა ჩვენ ძვირფას მოღვაწეთა შესახებ თითქმის არ მოიპოება, ხოლო ზეპირ-სიტყვაობა ათასგვარ დაუჯერებელ ფაქტებს აღნიშნავს ამა თუ იმ პირის ცხოვრებიდან. კერძოთ გიორგის შესახებ, ხოლო განსაკუთრებით მისი სიყრმე-სიჭაბუკისა, ისტორიას არავითარი კვალი არ ახნია. ამიტომ იძულებული ვიყავი მის ახლო მეგობართაგან გამეგო საჭირო ცნობები.

— რას მეტყვით ბ-ნო გრიგოლ, პოეტი გვაზავას შესახებ?

— რა უნდა გითხრა?

— აი მაგალითად, სად დაიბადა?

— სად დაიბადა და თავისს სოფელში.

— სოფელში დაიბადა თუ ქალაქში? *)

— ეს კი აღარ ვიცი.

— სად სწავლობდა?

— არც ეგ ვიცი კარგათ. მგონი სემენარიაში...

— გლეხია თუ აზნაური?

— არ ვიცი ღმერთმანი! საზოგადოთ მისი წარსული ისე ბნელით არის მოცული, როგორც აწმყო.

მე, რასაკვირველია, არ დავეთანხმე ბ-ნ გრიგოლს ამ უკანასკნელ სიტყვებში, ვინაიდან აწმყო მოღვაწეობა გვაზავასი ერთობ თვალსაჩინოა თავისი ქარაფშუტული ერთფეროვნობით, მაგრამ მისგან მაინც ვერაფერი გავიგე საყურადღებო და მართალი მოგახსენოთ სხვებთან თავიც აღარ შემიწუხებია მის გასაგებათ. ვინ არ იცის, რომ ქართველები საზოგადოთ ხარმაცი ხალხნი ვართ.

პირველი კამარა.

საზოგადო მოღვაწეთა (და მით უმეტეს მგოსანთა) უმრავლესობა თანდათანობით, იკაფავს გზას სახელისა და დიდებისაკენ. ათი და ხუთმეტი წლის მძიმე შრომაა საჭირო, რომ საზოგადოებამ ღირსეულათ დააფასოს მგოსანი, მაგრამ გიორგი გვაზავა დიახაც არ დაბადებულა ჩვეულებრივ ვარსკვლავზე. საკმარისი იყო მისი პირველი ცხოველმყოფელი ლექსი წაეკითხა ქართულის მცოდნეს, რომ უკვე განსაზღვრული აზრი შეედგინა მისი ნიჭის შემოქმედებით ძლიერებაზე. ამასთანავე არსად ისეთი სწორი წინასწარმეტყველობა არ გამოუჩენია ქართულ კრიტიკას, როგორიც გამოიჩინა გიორგი გვაზავას დიადი ნიჭის დაფასებაში *).

ეს პირველი ლექსი გ. გვაზავასი გახლდათ ცნობილი **„ლევანი“**, როგორც აზრი, ისე რიფმა და სილამაზე სწორეთ სასაცილობის უმაღლეს საფეხურამდე არის აყვანილი „პოეზიის“ ამ საუცხოო ნიმუშში. მას თავისი მნიშვნელობა თითქმის დღევანდლამდისაც არ დაუკარგავს და დაუფასებელ მაგალითს წარმოადგენს იმისას თუ როგორ არ უნდა დაიწეროს ლექსი. მიუხედავათ იმისა, რომ **„ლევანს“** საზოგადოება კარგათ იცნობს, ჩვენ მაინც საჭიროთ მიგვაჩნია ხსოვნაში აღვადგინოთ თუ, სიტყვა-სიტყვით არა, „ლევანის“ ჩონჩხი მაინც, რისთვისაც უმორჩილესად ვითხოვ მცირეოდენ მოთმინებას.

„იყო ლევანი
და შადრევანი,
როგორც ‘ტევანი,
ტანთა რხევანი,
ქალწულ—ევანი,
კვალად ლევანი,
კვალად მტევანი,
ლერწამთ მტვრევანი
და ფიანდაზა,
აგი ანდაზა“ და სხვ. და სხ. და სხ.

ეს არის „ლევანის“ ჩონჩხი ანუ უკეთ ვსთქვათ აზრთა სისტემა და რიფმის წყობა. და აი, ეს ლექსი მეხივით გავარდა ქართულ მწერლობაში. ყველანი მასზე ლაპარაკობდენ, სწერდენ და კამათობდენ.

აქედან დაიწყო გვაზავას დიდება!!.

რევოლიუცია და რეაქცია.

ვიცი ეგ სათაური გეუცხოებათ. მაგრამ ნუ დაგვზრახავთ. საქმე იმაშია, რომ მე თითქმის შევედი ჩვენი დიდებული მგოსნის როლში და თითებს თავისუფლება მივანიჭე. ყოველ შემთხვევაში ამ სათაურში მინდა გამოვსახო ის, თუ რა ასაზრდოებდა მგოსნის მუზას მოძრაობამდე, მოძრაობის დროსა და რეაქციის წლებში. ეს საინტერესოა მისი დიდ ბუნებოვანების გასათვალისწინებლათ.

„მტევანიდან“ დაწყებული, ვიდრე დღევანდელ „გოგუცუნებამდე“ (იხ. „ივერია“) ჩვენი მგოსნის მუზას სქესობრივი საკითხი ჰკვებავდა. მაგრამ არ იფიქროთ, თითქო ამ საკითხის სოციალურ მხარეში შეეტოპოს, ან განყენებული სახით შეხებოდეს, სრულიადაც არა!!!!! ის ეხებოდა „ქალთა საკითხს“, თუ შეიძლება ასე ითქვას ანატომიურათ. მის მაღალ ყურადღებას უმთავრესად „კეკლუცთა ფეხები“ იპყრობდენ, და იპყრობენ დღესაც. ჩვენც სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მგოსანმა არ უღალატა თავის იდეალს და მართლაც რაინდული შეუდრეკლობით შერჩა თავის სატრფიალო საგანს. იმის აღტაცებული გრძნობიერება ვერ გაჰყინა გა-

*) ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუ თუ ამასაც მნიშვნელობა აქვს! ეშმაკი.

*) ცხადია იმიტომ, რომ შეფასება ძვირი არ დაჯდებოდა. ეშმაკი.

სული საუკუნის მოდუნებულმა ცხოვრებამ, ვერ შეარყია სახალხო მოძრაობის ტალღებმა და რაც უფრო სასიქადულოა, ვერ დასცარა რეაქციის ქარტეხილმა. ის შერჩა თავის სათაყვანო თემას!

გვაზავას სკოლა.

გიორგის ღვთაებრივმა ნიჭმა, რაღა თქმა უნდა, წაუშლელი კვალი დააჩნია ჩვენს ცხოვრებას და თავისი შკოლა შეჰქმნა ქართულ მწერლობაში. თუმცა, ჩვენდა სავალალოთ, მას ვერ აღმოუჩნდენ ღირსეული მიმდევრები, მაგრამ მათი არსებობა მაინც ფაქტია და თანაც აშკარა ფაქტი. რა ვუყოთ მერე, რომ მასწავლებელი ანუ, როგორც იტყვიან, მამათ-მთავარი მთელი თავით *) მაღლა იდგეს თავის მიმდევრებზე?

გვაზავისტებში ყველაზე უფრო აღსანიშნავია, ჩვენი მკითხველებისათვის უკვე ცნობილი სვიმეონ ქვარიანი. ორ ქართულ ქალაქში ეს ორი დედაბოძი ამაყად ასვია მტერთა გულ მოსაკლავად და მოყვარეთა საამაყოთ. გარეშე ქვარიანისა კიდევ მოეპოვება კურთხეულ სამშობლოს ერთი ორი გვაზავისტი, მაგრამ მათზე ლაპარაკიც აღარა ღირს.

გვაზავა, როგორც ვეჭილი.

ავათ თუ კარგათ, ჩვენ განვიხილეთ გიორგის სამგოსნო მოღვაწეობის საუკეთესო ნიმუშები. მისი ნამდვილ გენიალური „ხეთქილი“ პოეზია რასაკვირველია „ლევანში“ გამოიხატა და მისი დაწერის შემდეგ მგოსნის აზრ-შეხედულებას არავითარი ცვლილება არ განუცდია, როგორც არა ორგანიულ ნივთიერებათ სჩვევიათ. ახლა მცირედ შევეხოთ მისი მოღვაწეობის მეორე მხარეს, სახელდობრ ვეჭილობას, თუმცა არც ეს მხარეა უცნობი ქართველ მკითხველთათვის.

ვეჭილობაში გიორგიმ სახელი მოიხვეჭა განსაკუთრებით პოლიტიკურ ნიადაგზე. მოგეხსენებათ ჩვენმა ხალხმა მეოცე საუკუნის პირველ წლებში ერთობ აიგდო თავი და მთავობას ბუნტი „გაუკეთა“ აღარ დაინდვეს, თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც პოლიცია. მღვდლებს დრამა მოუსპეს, მემამულეებს — ღალა! მაგრამ, მოგეცეთ ლხენა, იგენი მთავრობამ დაამარცხა და პოლიცია წელში გაამაგრა. პრისტავებმა, რასაკვირველია, შური იძიეს და წესიერების აღდგენის დროს ხალხს „შეაგნებინეს“ მათი შეცდომა. სხვებთან ერთად ჭიათურელი კედიაც „აგნებინებდა“ ხალხს მთ დანაშაულს. ზოგს წვერებზე „ჰკიდებდა“ ხელს, ზოგს მათრახს „წამოაჩვენებდა“ და სხ. ასე, რომ მთავრობამ „გადაჰარბებულათ“ სცნო კედიას მოღვაწეობა, რისთვისაც სამართალში მისცა.

გიორგი გვაზავამ, რასაკვირველია, კუდით ქვა ასროლია მოსამართლეებს და ცხადათ დაუმტკიცა მათ, რომ კედია თუ გლეხების წვერებს მისწიმოსწევდა ხანდის-ხან, ეს იმიტომ, რომ ხალხისთვის „შეგნება“ მიემატებიაო. კედია, რასაკვირველია გაამართლეს და განა მარტო კედია!!!! გიორგიმ გამოიყვანა აგრეთვე ჭანდრაკული მდგომარეობიდან სახაზინო თეატრის გამგე, რომელსაც მუშის „შეგნება“ ბრალდებოდა, თუმცა მისი ოთახიდან მუშა სრულიად შეუგნებელი გამოეტანათ.

საზოგადოთ მგოსანს თავისი ღვთიური ნიჭი არც ერთ დარგში არა ჰღალატობს.

ისტორიკოსი.

---

*
* *

მზე ამობრყწინდა,
მისი სხივები,
კაშკაშა, წმინდა,
როგორც მძივები,
მთა ბარს გულ-მკერდზე გადაეკარგა,
სხივი რა მოხვდა
ბუმბერაზ მთასა,
ნისლი მსწრაფლ მოსწყდა,
გაეკრა ცასა
და ღრუბლებს გაყვა, გადაიკარგა.
გრილმა ნიავმა
გაშალა ფრთები,
ლაღათ მფრინავმა,
ბუჩქ-ბალახები
შეათამაშა, ააშრიალა.
მგოსანმა ჩანგი
აიღო ხელში
და უცხო ჰანგი
ტყე-მინდორ-ველში
გაისმა ნაღვლით სავსე, წკრიალა:
„ვარდი ლამაზი,
წალკოტში რგული,
ნარნარი, ნაზი,
მკერდ-მოქარგული,
ტურფათ ყვაოდა გადაფურჩქნული.
მაღლით შუქს ფენდა
დილის ცისკარი,
ბადრს პირსა ბანდა
ციური ცვარი
და უგალობდა ტკბილათ ბულბული.
მაგრამ დაქროლა
სასტიკმა ქარმა,

*) თავით თუ არა, ცილინდრით მაინც!
ეშმაკი.

თან გაიყოლა
ის საზიზღარმა
და სადღაც შორს, შორს...დაასამარა!
დაობლებული,
გულ-სევდიანი,
კვნესის ბულბული
ლამაზ ფოთიანი
და ცხარე ცრემლი სცვივა ანკარა!"

ვ. რუხაძე.

შურის ძიება.

(მოთხრობა)

სოფელი ხერგიეთი მყუდროების სავანეში განისვენებს, ტაბილათ სძინავს. ბუნების ძალნი ერთი მეორეს ეჯიბრებიან საოცნებო ელფერი მისცენ, სანეტარო ზაფხულის ღამეს. თვალ უწვდენელ, ლაჟვარდ ცაში, ნაზათ მოსცურავს ბადრი მთვარე და თავის ოქროს ფერ სხივებს უხვათ აფრქვევს მიძინებულ სოფელს. ცელქი, გრილი ნიავი, სულის წარმტაც ჩურჩულით ჩაუვლის ხეებს, ბალახ-ყვავილებს და ნაზათ ეამბორება, ძალს უფრთხობს. ბუნების ეშხით მთვრალი ბულბული ციურ ჰანგზე არაკრაკებს ენას.

სძინავს სოფელს.

— ელიკო, გენაცვალოს შენი ბესო, რას შეკრთი? მომეკარ გულზე, ჩემო კარგო, ჩემო ყველავ?

— მეშინია, არ ვიცი კი რის?

— რის გეშინია, გენაცვალე, შენს ბესოსთან?

შეყვარებულები მაგრათ მიეკვრენ ერთმანეთს.

ბესო და ელიკო, ჩვეულებისამებრ დანიშნულ დროზე შეხვდენ ერთმანეთს. უკვე შუაღამეზე გადასული იყო, რომ ისინი, ჯერაც არ ფიქრობდენ წასვლას. მაგრათ გადახვეულნი, ისხდენ სოფლის ბოლოს მწვანეზე. საოცნებო ღამეს ისინი დაეთრო. ბულბულის ამონაკვნესს ბანს აძლევდა მათი მხურვალე კოცნის ხმა. მათ უყვარდათ ერთმანეთი თაკდავიწყებამდე.

ელიკოს ლამაზი პირის სახე, შავი, ცეცხლის მფრქვეველ თვალები და მუდამ მოღიმარე, ვარდივით ტუჩები ბევრ ახალგაზდას უძგერებდა გულს სოფელ ხერგიანში. თუმცა ის ღარიბი დედ-მამის შვილი იყო, მაგრამ არა ერთი და ორი ახალგაზდა ნატრობდა მის ცოლობას. მაგრამ, ელიკოს გული მხოლოდ ერთისთვის სძგერდა, ის მხოლოდ მთელი თავისი არსებით ერთს ეკუთვნოდა. ეს იყო, მისი მეზობელი ბესო მელქაძე.

ბესოს მამა აღრე მოუკვდა, დარჩა ობლათ დედისა და პატარა და-ძმის ამარა. დედა თებრო ყოჩაღი ქალი გამოდგა. მან თითქმის არაფრათ შეიმჩნია ქმრის უდროოთ დაკარგვა და მამის მაგიერობა გაუწია დაობლებულ შვილებს. ბესოც, თუმცა პატარა იყო, მარა ძალიან შველოდა დედას, ხშირათ დაინახავდენ ხოლმე, სიცხე პაპანაქებაში ორივე დედა-შვილი გულდაგულ სთოხნიდა ყანას.

— ბარაქალა შენს ქალობას, კაი დედაკაცი ხარ და ღმერთმაც კაი შვილი მოგცა,—ხშირათ იტყოდენ, ხოლმე, გამვლელი გლეხები, როცა ყანაში მომუშავე თებროს და ბესოს დაინახავდენ.

ბევრი გოგოები ნატრობდენ ბესოს ქმრობას, ბევრი შუამავლები მისულან თებროსთან, მაგრამ ყველას ასე ისტუმრებდა: „ჩემი შვილი ეხლა ვაჟკაცია და ჩემზე უფრო თვითონ ამოირჩევს ვინც უნდა"-ო.

ბესო და ელიკო ბავშვობიდანვე თანშეზრდილი იყვენ. მათში ნამდვილი უმანკო, ბავშვური განწყობილება იყო. განვლო ხანმა, მათ არც კი შეუნიშნავთ, რომ ბავშვურ განწყობილების ადგილი რაღაც სხვა გრძნობამ დაიკირა. ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ გამოერკვიათ რა ხდებოდა მათ გულში. თუ წინათ უდარდელათ ორივე თამაშობდენ ერთათ, ხშირათ ჩხუბიც მოსდიოდათ, ეხლა საკმაო იყო ერთმანეთს შეხვედროდენ, ორივე წითლდებოდა და გული ძიგ-ძიგს უწყებდათ. ორივე ეკითხებოდა თავის თავს, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ პასუხი ვერ ეპოვნათ. ვერ აეხსნათ ეს ჯადოსნური კითხვა. თითქო სცხვენოდათ ერთმანეთის, თითქო ეშინოდათ, თითქო რაღაც დანაშაული ჩაედინათ.

ერთ ზაფხულის საღამოს, როცა ბესო ყანიდან სახლში პრუნდებოდა, გზაში ელიკოს დაეწია. დაინახეს თუ არა ერთმანეთი, ორივე საშინლათ შეკრთა, გულმა დაგადუგი დაუწყოთ, ორივეს შერცხვა, გაწითლდა და სალამიც კი ვერ მისცეს ერთმანეთს. ასე გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი.

— ყანიდან მოდიხარ?—როგორც იქნა, ბოლოს ძლივს წამოილუღლუღა ბესომ.

— ჰო!—ძლივს გასაგონი ხმით უპასუხა ელიკომ, თავისი შავი თვალები უცბათ შეანათა და კიდევ უფრო გაწითლდა.

ბესო დასწვეს ამ თვალებმა. მას ენა ჩაუვარდა, რაღამაც გულზე საშინლათ მოუქირა, კრიჭა შეეკრა.

ორივე დაჩუმდა. ისმოდა მხოლოდ მათი, აღგზნებული გრძნობით აძგერებულ გულის ძიგ-ძიგი. დაუახლოვდენ დიდ მუხას, სადაც ყველა გამვლელი ისვენებდა. ამ დროს იქ არავინ იყო.

— დავისვენოთ!—როგორც იქნა, მოახერხა ბესომ.

ორივენი ხმა ამოუღებლივ დასხდენ.

— დაიღალე, ელიკო?

— არა!... შენ?

— მე რა დამღალავს!

კვლავ სიჩუმე. თითქო ორივეს პირი გაუშრა, ენა ვეღარ დასძრეს. ორივეს, რაღაც მუხრუჭივით უჭერდა გულზე, უნდოდათ რაღაც ეთქვათ ერთმანეთისთვის, მაგრამ რა და როგორ, ვერ გაეგოთ. ამას მოწმობდენ მათი მოელვარე თვალები და ატკეცილი სახე. უცბათ, ინსტიქტიურათ ორივემ

თავები აიღეს და თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. მათი თვალები მთელი ზღვა იყო ამ დროს. მათ თვალებით უთხრეს ერთმანეთს ის, რის თქმაც სიტყვით ვერ მოეხერხებიათ. ელიკომ თვალები მსწრაფლ დაუშვა და კიდევ უფრო აეტკიცა სახე, ცხვირის ნესტოები გაებერა, სუნთქვას მოუხშირა...

— ხომ არ მიჯავრდები... ელიკო?—ძლივს დაიწყო ბესომ.

— შენ?... რაზე?... რა დაგიშავებია?...—ყრუთ წარმოსთქვა ელიკომ, თავი მაღლა ასწია და შეხედა...

ბესო დაიბნიდა, გონება დაებნა. გატაცებით დააშტერდა ელიკოს და არც კი გაუგია ისე მისი ტუჩები ოდნავ შეირხენ და ძლივს გასაგონი ხმით წაიჩურჩულეს:

— შენ... გე...ნაცვალე!...

ელიკომ გულზე ხელი იტაცა, სუნთქვა შეეხუთა... ვერ გაეგო რა მოხდა! თან და თან მოდუნდა, ძილი მოუვიდა და რაღაც უხილავი ძალა ბესოსკენ ეწეოდა...

— შენ გენაცვალე!

— შენი ჭირიმე!

მოისმა აქეთ-იქიდან გმინვის ხმა და ორი აძგერებული გული, ანგარიშ-მიუცემლათ ერთიმეორეს მიეკრა. გახურებული ტუჩები ერთმანეთს შეეწებენ. მოწოლილმა გრძნობებმა ბროლის ნაკადულივით გადმოხეთქა ელიკოს თვალებიდან.

ამ დღიდან ჩაინასკვა მათ ნორჩ გულში სიყვარული და ფართე გზა იშოვა. ამ დღიდან ისინი თითქმის ყოველ დღე ხვდებოდენ ერთმანეთს. როცა დღიურ ჭირ-ვარამით დაღლილი სოფელი ტკბილს ძილს ეძლეოდა, ბესო და ელიკო ამორჩეულ ადგილას ხვდებოდენ ერთმანეთს. მათი საყვარელი ადგილი იყო სოფლის ბოლოს, დიდრონ მუხებთან. მათი უმანკო სიყვარულის მოწამე იყო მხოლოდ მაღლა ცა და ქვევით დედამიწა. მთელ სოფელში ეჭვი არავის ქონდა მათ სიყვარულზე.

აღნიშნულ ღამეს ბესო და ელიკო ძალიან გაიტაცა ერთმანეთის ალერსმა. უკვე შუა ღამეზე გადასული იყო, რომ ისინი არც კი ფიქრობდენ სახლში წასვლას. თითქო ბუნებას განგებ ეხმარა თავისი გრძნეული ძალა, რომ ეს ზაფხულის ღამე სავსებით შეეღფერ-შეეხამებია მათი უმანკო აღგზნებული სიყვარულისათვის. თითქო ბუნება გრძნობდა მათ ძლიერ სიყვარულს. როცა შეყვარებულნი ერთი მეორეს მხურვალეთ დაეკონებოდენ და ჰაერში გაისმოდა მათი კოცნის ხმა, მთვარეს ღიმი მოსდიოდა და ბულბული, თითქო იგრძნოო, მწარეთ დაიკვნესებდა.

შეყვარებულები უფრო ძლიერად მიეკვრენ ერთმანეთს, თითქო სურდათ ერთ არსებათ გადაქცეულიყვენ.

— ელიკო! ჩემო ღმერთო!—გატაცებით წარმოსთქვა ბესომ, მაგრათ ხელი მოხვია და ხარბათ დაეწაფა ცხელ ტუჩებს —რა კარგია, ნეტა სულ ასე ვიყოთ, ზევით ცა, ქვევით დედამიწა. ჩვენი მოწამეა მხოლოდ ეს უტყვი ხეები და არშიყი მთვარე. ღირსი არავინ არის მთელ ქვეყანაზე, რომ ჩვენი სიყვარულის შესახებ რამე იცოდეს, ის მხოლოდ ჩვენს გულში უნდა იყოს დამარხული. დეე მაშინ გაიგონ, როცა შენ ჩემი ცოლი გახდები, ეს დრო კი შორს არ არის.

ელიკო შეკრთა და უფრო მაგრათ მიეკრა მის მაგარ გულ-მკერდს.

— რა იყო ელიკო? ხომ არ გეშინია?

— მეშინია!

— რის გეშინია? მე აქ არა ვარ?

— იცი რა გითხრა ბესო?.. მეშინია, ბეგლარა უძლომლიძის მეშინია... სულ მე დამდევს... ისეთი თვალებით მიყურებს, თითქო შეჭმას მიპირებდეს... იმ დღეს შემხვდა, მიყვარხარო... ჩემი უნდა იქნეო.. მითხრა. უნდოდა ხელი მოეხვია, მაგრამ მე გავექეცი.

ბესომ კბილები გაახრჭიალა.

— მაშ, მოგიკვდეს ბესო, თუ მე იმას დღე არ გავუქრო!—ბრაზიანათ წარმოსთქვა მან.

— ვნახოთ, ვინ ვის გაუქრობს!—გესლიანათ წაილაპარაკა ვიღაცამ.

ბესოს და ელიკოს არც კი შეუნიშნავთ, როგორ მოშორდა იქვე დიდ მუხას ვიღაცის შავი აჩრდილი, გველივით გაწვა მიწაზე, ღობის ძირას, ნელა გასცურა რამდენიმე საჟენი და გაქრა სიბნელეში.

ეს იყო იმავ სოფლის აზნაური ბეგლარ უძლომლიძე. ბეგლარს დიდი მსუნაგი კაცის სახელი ქონდა დავარდნილი მთელ სოფელში. ქალიშვილებს სიკვდილის არ ეშინოდათ ისე, როგორც მისი მარტოთ შეხვედრა. საკმაო იყო ვინმეს შეხვედროდა, ის მზათ იყო მივარდნოდა მაშინვე, ძალა ეხმარა და დაეკმაყოფილებია თავისი პირუტყული გრძნობა. რამდენჯერ მოუნდომეს მას ასეთ ძალადობისთვის პასუხის გაცემა, სასამართლოშიაც უჩივლეს, მაგრამ ყველგან გამარჯვებული გამოვიოდა... „აიმ, მაშ, ბეგლარა არ ვიქნები" ...

ორივეს მაგრათ ხელები და დააგდეთ ურემზე,—მიმართა მან სტრაჟნიკებს.

ხელ-ფეხ შეკრული ბესო და თებრო მათივე ურემზე დააგდეს და გამარჯვებული ბოქაულ-სტრაჟნიკები ნადავლით გზას გაუდგენ.

ახლო-მახლო მეზობლებმა იმ ღამესვე გაიგეს, რომ რაღაც საშინელი ამბავი მოხდა ბესოსას, მაგრამ შიშით მისვლა ვეღარ გაბედეს.

და. ერთხელ სოფლის ბიჭებმა მისი მოკვლაც-კი განიზრახეს, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან სოფლის აოხრების შეეშინათ.

ბეგლარას კარგა ხანია თვალი ეჭირა ელიკოზე.

— მაშ, ბეგლარა არ ვიქნები თუ ის გოგო ხელში არ ჩავიგდე—იტყოდა ხოლმე თავისთვის ბეგლარა.

ყველაფერი ღონე იხმარა ბეგლარამ, მაგრამ ვერას გახდა. ვერ ჩაიგდო ხელში ელიკო. ამან კიდევ უფრო აღუძრა სურვილი. ბოლოს მან გადას-

წყვიტა ღამ-ღამობით ედარაჯებია ელიკოს სახლთან და გაეტაცნა სადმე. ზემო აღნიშნულ ღამესაც ის ელიკოს სახლის ახლო სულ-განაბული ელოდა მარჯვე დროს. დიდი ლოდინის შემდეგ გაიღო კარები და ელიკო ჩუმათ გამოვიდა. ბეგლარს უნდოდა მაშინვე ეტაცნა ხელი მაგრამ გადაფიქრა, რადგან ელიკო ჭისკრისაკენ წავიდა. „უმჯობესია ცოტა სახლს მოშორდეს“, გაიფიქრა ბეგლარამ. ის მოჩვენებასავით აედევნა უკან. გაიარეს კარგა მანძილი ბეგლარას. ვერ გაეგო სად მიდიოდა ასეთ ღამეში, გასცდენ სოფელს, ბეგლარა მოემზადა, ის იყო გადახტომა დააპირა, რომ თითქო მიწიდან ამოძვრაო, მათ წინ გაჩნდა ბესო და თავის მძლავრ გულმკერდში ჩაიკრა მიბნედილი ელიკო. ბეგლარას თავზარი დაეცა ის მიეკრა იქვე დიდ მუხას.

— მაშ, ბესოია უყვარს? ბესოიაზე გამცვალა?.. მაშ, მოგიკვდეთ, ბეგლარა, თუ თქვენი სიყვარული შხამათ არ ვაქციო. მოგიკვდეს ბეგლარა თუ ორ დღეში არ დაგაქვრივო.

ამ სიტყვებით ის წავიდა შინ.

მეორე დღეს დილა ადრიან ბეგლარა ეახლა უჩასტკის ბოქაულს ის მარტოთ მიიღეს. ერთის საათის შემდეგ ის მხიარული ბრუნდებოდა შინ.

— ეხლა მხოლოდ ერთი საქმე დამრჩენია,— ამეღამ იმასაც მოვაწყობ და დაქვრივებული ელიკო ჩემი იქნება—ჩაილაპარაკა მან, პირი გააწკლაპუნა და შეაღო თავის სახლის კარები.

ერთი კვირის შემდეგ, როცა მუშაობისაგან დაღლილს ბესოს ტკბილათ ეძინა, შუაღამეზე ვიღამაც ძლიერად კარები დააბრახუნა. თებროს გაეღვიძა, დაენანა შვილის გაღვიძება და ადგომა დააპირა.

მეორეთ უფრო ძლიერად დაბრახუნეს. ბესოს გამოეღვიძა.

— რა ამბავია ნეტა?

— რა ვიცი, შვილო, ალბათ ვინმეს უპირს, —წარმოსთქვა თებრომ და ლოგინიდან ფეხები გადმოსდგა.

— დაიცა, დედა, სად მიხვალ? რა იცი ვინ არის?

ის წამოდგა და კარები გააღო.

— ვინა ხართ, შემობრძანდით!—გასძახა მან, როცა რამდენიმე შავი აჩრდილი შეამჩნია.

— ბესო შელქაძე შენა ხარ?—მოესმა პასუხათ ვიღაცის ბოხი ხმა.

— მე ვარ? თქვენ ვინა ხართ? რა გნებავთ?

პასუხის მაგივრათ ბესოს რამდენიმე მძლავრი ხელი გველებივით შემოერტყა, თავში თოფის კონდახი ძლიერათ მოხვდა და გარეთ გაითრიეს. ბესოს თავბრუ დაესხა, სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა, მხოლოდ ერთი ამოიგმინა. თებრო მიხვდა რაშიაც იყო საქმე, ის ძუ მგელივით გადაფრინდა ლოგინიდან, მივარდა კარებთან, რომ თავის კბილებით დაეგლიჯა ერთ ერთი მათგანი, მაგრამ თოფის კონდახით თავგატეხილი მიწაზე გაიშლართა.

— კარგათ გასინჯეთ ორივენი, იარაღები არ ქონდეთ—მოისმა ვიღაცის ბრძანების ხმა.

ბესო გონს მოვიდა, წამოიწია.

— რა გინდათ ჩემგან?

— სად გაქვს იარაღები? გვიჩვენეთ ჩქარა, თორემ დაგხოცავთ.

ბესო მიხვდა რაშიაც იყო საქმე, კბილები გაკრაჭუნა და ამოიგმინა.

— აბა შეუდექით ჩხრეკას.—გაისმა ბრძანების ხმა.

ფარანი აანთეს. ესენი იყვენ ბოქაული თავის სტრაჟნიკებით. ბეგლარას დაბეზღებით ისინი თავს დაესხენ ბესოს, რომ იარაღები აღმოეჩინათ.

გაჩხრიკეს სახლი, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს.

— აბა სადა გაქვთ იარაღი?—მიმართა მრისხანეთ ბოქაულმა.

— ვინ გითხრათ?... არა მაქვს! მე ყაჩაღი არა ვარ!—მრისხანეთ უპასუხა ბესომ.

თოფის კონდახი მეორეთ მოხვდა თავში. ბესოს გააკრჭოლა, ის მძლავრათ გაიწია, უნდოდა მივარდნოდა ერთ-ერთს და იქვე დაეხრჩო, მაგრამ თოფის კონდახი ისევ მოხვდა და კვნესით დაეშვა მიწაზე.

შეუდგენ ეზოში ჩხრეკას. დიდი ძებნის შემდეგ მარანზე, ცარიელ ქვევრში იპოვნეს მაუზერის რევოლვერი და 50 პატრონა.

— აა!—დაიღრიალა სახე გაბრწყინვებულმა ბოქაულმა,—მაშ შენა ბრძანდები აქ რომ ყაჩაღობ და ხალხს მოსვენებას არ აძლევ?! დამაცადე! გიჩვენებ, როგორ უნდა ყაჩაღობა,—შეუკარით

ის იყო, ბოქაულ-სტრაჟნიკები სოფელს გასცდენ, რომ მათ შეხვდათ ბეგლარა, ის სახე გაბრწყინვებული მიესალმა ბოქაულს, რაღაც უცნაურათ შეათამაშა თვალები და გაშორდა. ბესომ თვალები გაახილა, დაინახა ბეგლარა, რაღამაც საშინლათ გულზე უკბინა და ტუჩებს მაგრათ კბილები დააჭირა.

მეორე დღეს მთელმა სოფელმა გაიგო ეს საზარელი ამბავი. ყველა გაკვირვებული იყო, არავის არ სჯეროდა, რომ ბესო ამის ჩამდენი იყო. გაიგო თუ არა ეს ამბავი ელიკომ, ერთი საზარელათ ამოიგმინა და უგრძნობლათ დაეცა იატაკზე. ის წყლით ძლივს მოაბრუნეს, მაგრამ ამ დღის შემდეგ ის ფეხზე აღარავის უნახავს. რამდენიმე თვის ავათმყოფობის შემდეგ ის მოკვდა.

თებრო და ბესო ჩასვეს ციხეში. თებრომ ვერ აიტანა ციხის რეჟიმი და სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ერთი წლის ციხეში ჯდომის შემდეგ ბესო გაასამართლეს და ოთხი წლის კატორღა გადაუწყვიტეს.

— ოჰ! ბეგლარავ! ბეგლარავ! უნდა ვიცოცხლო მხოლოდ მარტო იმისთვის, რომ სამაგიერო გადაგიხადო, გავძღე შენი სისხლით!—ხშირ-ხშირათ წამოიძახებდა ხოლმე ბესო და სიბრაზით კბილებს გაახრჭიალებდა.

გასამართლების შემდეგ მას ბორკილები დაადვეს.

ბეგლარამ ვერ შეისრულა გულის წადილი.

— არც მე და არც შენ!—იტყოდა, ხოლმე ის როცა ელიკო მოაგონდებოდა.

—

ამ ამბის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელიწადი. ბეგლარ უძღომლიძე უკვე დაცოლშვილდა, ოჯახის პატრონი შეიქნა. გაქრა მისი რაინდული ხასიათი. ბევრმა წყალმა ჩაიარა, თითქოს ყველას დაავიწყდა ბეგლარას „საგმირო საქმეები“, მას ეხლა ისე აღარ ეპყრობოდენ. აღდგომის ღამე იყო. ბეგლარას უხვათ მოემზადებია ყველაფერი, რომ მხიარულათ შეგებებოდა ბრწყინვალე დღესასწაულს. მთელს ოჯახს ტკბილათ ეძინა. ბავშვებს იქვე სასთუმალს დაეწყოთ ახალი ტანისამოსი და წითელი კვერცხები, რომ ზარის რეკაზე საჩქაროთ ამდგარიყვენ და ეკლესიაზე წასულიყვენ. სძინავს ბეგლარას ტკბილ სიზმრებში.

— ბეგლარ!.. ბეგლარ!.. სახლში ხარ?—მოისმა უცბათ გარედან ვიღაცას ხმა.

ბეგლარის ცოლმა გაიღვიძა.

— ადექი, ბეგლარ,. ვიღაც გეძახის!—გააღვიძა მან ქმარი.

ბეგლარა წამოდგა, გადაიცვა ახალუხი, გააღო კარები და ივანზე გავიდა. არავინ სჩანდა.

— აქეთ იძახი ვინმე?

— ბეგლარი ხარ?—მოისმა ღობიდან ხმა.

— ჰო, მე ვარ! ჩამობრძანდით!

— ბეგლარ!

— ბატონო!

— ქრისტე აღსდგა! წითელი კვერცხის მაგიერ გილოცავ ცხელ ტყვიას, შეღებილი არაა, მარა შენი სისხლი კარგათ შეღებავს

იტექა თოფმა და გულ გახვრეტილი ბეგლარა იატაკზე გაიშოტა.

— ახლა წადი და სხვებიც დააბეზღე!—ჩაილაპარაკა ბესომ ღობესთან და გაქრა სიბნელეში.

ირეთელი.

ტალღებს.

—

ცა ჩამოსტირის, ტყე სწუხს და გმინავს
ქარიც დაჭრილი ნადირის ხმაზე,
დადიან ზვირთნი და მეც ვქანაობ
ჩემის ტლუ ნავით ცხოვრების ზღვაზე.

ზღვავ, აბობოქრდი! სტყორცნე ზვირთები,
ეკვეთე კიდეთ, და იმღელვარე;
მიყვარს მე შენი გიჟი სტიქია,
და მძულხარ მამინ, როს ხარ მდუმარე!

აი, ხომ ხედავ ნაპირში სალ კლდეს,
თვისი სიმუნჯით რომ გვიგდებს მასხრად!
ზღვავ, სტყორცნე ტალღა თუ შეგიძლია,
და მყის აქციე იგი ნაოხრად!

მოუსპე იმას ის სიამაყე,
შუა გაუპე ზვიადი გული,
და მის ნამყოფზე გაათამაშე
ზვირთები შენი, აქაფებული!

ტყეს ჩაფიქრებულს ჰე, იქით, ხედავ?
სდგას გარინდული და გულმწუხარე!
მისწვდი იმასაც შენის ტალღებით
და მის პარტახზეც გადიხარხარე!..

მაშ, რაღასაიცდით, გიჟო ტალღებ?
ატყდით, აროკდით და იმღელვარეთ!
მიყვარს მე შენი გიჟი ტრიალი,
მძულხართ, როს გხედავ ეგრე მდუმარეთ!

ნ. ზომლეთელი.

სატრფოზე.

—

მზე მას უტინის, მას კი მე ვძულვარ,
დაამსხვრა ჩახვი და კარმონია,
სწორე დასკვნაშდის ვედარ მივსულვარ
გულის ღაღადმა დამიშორნია.

ერთხელ დამჩნდა მე ეგი გულზე
დაიშვრო სული, წამართვა გოხი
და ის სკულ-მდებლობს აწუთ-წარსულზე
ხან ანგელოზი ხან ვით დრაკონი.

მისი ღიმილი მოგანთიადე
ერთ წამში მმატებს მთელი წლის ნებას,
მაგრამ გაწყრომაში მეის მოწყვდიადე
ჯოჯოხეთს აძლევ კაშლილ ოცნებას.

რისხვის კვამლს ადენს იმედის მდელოს
და ზედ კადამდილს კაჭვინტს უვვიდებს,
მისეებრ მწვავეთ ვეწვთ ქეიძლოს
გულის გაფთიერა თვით დოშის კბილებს.

ჭო და სარგებლობს ის ამ თვისებით
არ მოინევს როცა წურომა სწადია,
ვით მართებულათ მე მოწიწებით
უნდა ვეშონო მაშინ ცხადია.

და ასე ხან ჭქეხს, ხან მოიდარებს
ხან გაიცინებს ხან-ეი კაწერება,
ხანგრძლივთ ეგი არ აძასარებს
და უფრო ხშირადკი მემუქრება.

მაგრამ მე ვფიქრობ მას მზე უტინის
იმიტომ მაღდა კიეურება,
ტადდა ატოკებს მდელვარე ყინის—
მზე-ეი თანდათან ჩაიწურება...

მაშინ მიხვდება—ვაი რომ ვვიან
და შეინანებს ადარ კაწერება
მაგრამ სინანულს აბა რა ჭქვიან
თუ ეი თვით ცრემლიც ადარ კაშრება.

იმედის მდელო ჩაიეკვეთებს
და მზეტ ტის კიდურს მოეფარება
სატრფოტ შეის მწარეთ ჩაიქეთინებს
რომ აწ მზეს ვედარ დაედარება.

და მოვა ჩემთან რომ ვვანდო ვენდო
მაგრამ რიდასთვის, ანუ რადთა,
კატეხილ გულზე უნდა დამეურნოს
იმედი ბედის ბაირადთა!..

ვ. ტუქსიშვილი.

გრაფი ცეპპელინი და იმისი საფრენი ხომალდი.

ჰაერში ფრენა ახლო მომავალის საქმეა. ადამიანს მოსვენებას არ აძლევს ის აზრი, რომ ჩიტუნებს ადვილათ შეუძლიათ ცის სივრცეში ნავარდი და ის კი, ბუნების გვირგვინი, ადამიანი, იძულებულია მიწაზე იხოხოს. ამიტომაც არის, რომ არა ერთმა და ორმა ტეხნიკოსმა შესწირა თავისი შრომა ჰაერში ფრენის საქმეს. გრაფი ცეპპელინი, იმათში თითქმის ყველაზე მეტათ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. მთელი გერმანია აღტაცებით მიეგება მის პირველ აფრენას და როცა უცაბედი შემთხვევით მისი უზარმაზარი „ჰაეროპლანი“ დაიმსხვრა, ახალის ასაშენებლათ უხვი ხელის მოწერა გაიმართა.

დღეს დეპეშებმა კვლავ მოიტანეს ცნობა, რომ ცეპპელინი თავისი ახალი „ჰაერ ხომალდით“ ასული ცაში და როცა გამძვინვარებული ქარიშხალი ძირს, დედა მიწაზე, ტელეგრაფის ბოძებს გლეჯდა; ის თავისუფლად დაცურავდა უსაზღვრო ცის სივრცეში და ამაყათ დასცქეროდა, დედამიწას.

აი რასა სწერს ამ მგზავრობის შესახებ „ნაშა გაზეტა“-ს მიუნხენელი კორესპონდენტი:



„18 და 19 მარტს ცეპპელინი ფრიდრიხსგაფენიდან (ბადენის ტბაზეა) მიუნხენამდე გაფრინდა თავის საფრენი ხომალდით, რამაც მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო. ცეპელინის ახალმა მანქანამ, აშკარათ დაუმტკიცა ყველას, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ადამიანი სრულიად დაიპყრობს ჰაერის სტიქიას. ამასთანავე ადამიანის გენიის ამ გამარჯვებამ მწარეთ დააფიქრა ევროპის სახელმწიფოების სხვა ერები, რადგან არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ცეპპელინის საფრენ მანქანით უპირველეს ყოვლისა გერმანიის მხედრობა ისარგებლებს.

ცეპპელინი აეშვა ჰაერში 18 მარტს დილის 4 საათზე. ის ავიდა ბადენის ტბის მაღლა, ფრიდრიხსგაფენის ახლო, გაემართა ჩრდილოეთ აღმოსავლეთისკენ, თავს გადაევლო ქალაქ რევენსბურგს, ვულმს, ბიბერახს, მემინგენს, აუგსბურგს, ვიურტემბერგის სამხრეთ მხარეს, ბავარიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსა და დილის 9 საათზე გადახედა ქალაქ მიუნხენს 400—450 საჟენის სიმაღლიდან. 5 საათში ხომალდმა გაიარა 200 ვერსამდე, ე. ი. საათში 40 ვერსი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მოგზაურობის დროს ძლიერი ქარიშხალი ჰქროდა და ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული

მიუნხენში ცეპელლინს უნდოდა მიწაზე ჩამოშვება, მაგრამ ძლიერმა ქარმა ხელი შეუშალა. როგორც ბოლოს უამბო პრესის წარმომადგენლებს ცეპელინმა, მისი ჰაერონავის მაშინებს შეეძლო წინაალმდეგობა გაეწია მხოლოდ ისეთ ქარისთვის, რომლის სისწრაფე წამში 19 არშ. უდრის, ხოლო 18 აპრილს კი ქარის სისწრაფე 25 არშ. უდრიდა.

ამიტომ ის იძულებული შეიქნა ჩამოშვებულიყო მიუნხენის ახლოს დილგონფინგში. ჩამოსვლის დროს მას ქალაქიდან გაგზავნილი ჯარისკაცები დაეხმარენ იმავე ცუდი დარის მიზეზისა გამო.

ღამე აქ გაატარა ცეპელინმა, მეორე დღეს, როცა ქარი ცოტათი ჩადგა, გამართა თავისი ხომალდი და ისევ გაუდგა გზას უკან ფრიდრიხსგაფე-

ნისაკენ. უკან მგზავრობის დროს მან აღასრულა გუშინდელი სურვილი და სამი საათით დაეშო ქალაქ მიუნხენში. დინჯათ, სხვის დაუხმარებლათ ის ნელა ჩამოეშვა მიუნხენში და ისევე ავიდა მაღლა და გაუდგა გზას. ხალხმა ტაშის ცემით და ვაშას ძახილით გააცილა ის. 4 საათის მგზავრობის შემდეგ ცეპელინი მშვიდობით მივიდა ფრიდრიხსგაფენში და თავისი ხომალდი მუდმივ ბინას შეეფარა.

ცეპელინის საფრენი ხომალდი სიგარის მოყვანილობის არის, სიგრძით 63 საჟ. განი 7 საჟ. გაკეთებულია ალლიუმანისაგან და გარს მოყვითლო მატერია აკრავს. ერთი შეხედვით მთელი ხომალდი ი'ეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო რაღაც მეტათ მსუბუქი რამ იყოს, და თანაც სათუთი.

ცეპელინის მიუნხენში მისვლამ დიდი აღტაცება გამოიწვია მცხოვრებთა შორის. პატივცემულმა ბიურგერებმა, როგორც კი გაიგეს ცეპელინის მიახლოვება, ხელი აიღეს თავიანთ სამუშაოზე და გაიქცენ მოედანზე, სადაც ცეპელინი უნდა ჩამოშვებულიყო, ქუჩებში, ტრამვაის ვაგონებზე და გაზეთებში მხოლოდ ცეპელინის სახელს წაიკითხავდით, ქალაქის საბჭოს მოსამსახურეები ავიდენ მაღალ კოშკზე და იქიდან დაუწყეს ყურება. სასამართლოს წევრებმაც დაანებეს საქმეს თავი და ცეპელინის შესახვედრათ გაეშურენ.

ცეპელინის შესახვედრათ 100 ათასზე მეტმა ხალხმა მოიყარა თავი. ვინ გინდათ იქ რომ არ იყო, სალდათი, მუშა, ბურჟუა, მღვდელი და გლეხი ყველანი გაფაციცებით ადევნებდენ თვალს, როდის აეშვებოდა ჰაერში ეს გიგანტი. უცებ ხალხი შეინძრა, შუა გაიყო. ეს გამოჩნდა ცეპელინი. ის მტკიცე ნაბიჯით შევიდა ერთ-ერთ ნავში, რაღაც ანიშნა და მსწრაფლ ამუშავდა უზარმაზარი მანქანა და ხომალდი სწრაფათ აეშვა ცის სივრცეში.

საუცხოო სანახაობა იყო .. თვალს ვერ აშორებდი ზეცაში მიმფრინავ ხომალდს და გინდოდა დაგეყვირა ლეონარდო დე ვინჩის მიერ ოთხი საუკუნის წინეთ წარმოთქმული სიტყვები:

— გვექნება ფრთებიც!..

სპარსეთი ●●●●●●●

(იხ. ჟურნალის უკანასკნელ გვერდზე.).

სპარსელების თავ-განწირული ბრძოლა გაკერპებული შახის წინააღმდეგ, დღითი დღე ფრთებსა შლის და ვითარდება. სულ რამოდენიმე თვეა, რაც სათარ-ხანის ერთი მუჭა რაზმელები თავრიზის ერთ უბანში იყვნენ მომწყვდეულნი და მუდამ ჟამს მოელოდენ შახის მომხრეთაგან განადგურებას.

დღეს კი სურათი ერთობ შეიცვალა. ხიაბანის *) გმირები არა თუ მარტო თავრიზში, თითქმის მთელს ადირბეჯანისა, გილანისა, ხოროსანისა და ისფაგანის პროვინციებს ბრძანებლობენ. სათარ-ხანის სახელი დღეს თითქმის მთელი სპარსეთისათვის საყვარელი და საამაყო სახელია. იმის მომხრეთა რიცხვი საათობით იზრდება და ჯიუტი შახის მთავრობას იმასვე უმზადებს, რაც მან სახალხო მეჯლისის დეპუტატებს მიუძღვნა.

როგორც მკითხველებს მოეხსენება თავრიზში რეაქციონერთა განადგურებას მოჰყვა ქალაქ ხოისა და სალმასტისაკენ გალაშქრება. ორივე ქალაქები ხელში ჩაიგდეს რევოლიუციის ბელადებმა და იქ სახალხო ენჯუმენები დაარსეს. ხოისა და სალმასტს მოჰყვა ისფაგანელ ბახტიარების აჯანყება, ისფაგანის განდგომას ზღვის პირ ქალაქების, რეშტისა და ენზელის აღება. რეშტის დამორჩილებას მოჰყვა ხოროსანის პროვინციაში ქალაქ მეშხედში სახალხო აჯანყება, შემდეგ ქალაქი კაზვინის დაპერა და სხვ.

ამგვარათ ალი შახის რეზიდენციას, თეირანს, ყოველის მხრიდან აჯანყებულთა რაზმები ირტყია. ცოტა ხნის შემდეგ მისი გაპარვაც, ვგონებ მოუხერხებელი შეიქნეს.

თავრიზის მახლობლათ დაბანაკებული ლაშქარი შახისა ყოვლად უმწეო ძალას წარმოადგენს და ბოლონდელ შეტაკებაში იმზომ დაზიანდა, რო მოსალოდნელია იარაღი დაჰყაროს. ხმები გაავრცელეს აგრეთვე სარდალი ეინ-უდ-დოულეს მოკვლის შესახებ, რაიცა სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა, მაგრამ სრული უმოქმედობისათვის შახის რისხვა მიიღო და ამბობენ მამულებიც ჩამოართვესო.

სპარსეთის მთავრობას არ დაუზოგავს არავითარი საშვალება ბრძოლისა, მაგრამ ყველა ეს, თითქო განგებო, მის წინააღმდეგვე მოქმედებს. ასეთი იყო შმგალითად შაჰ ამდულ აზიმის მეჩეთში შეხიზნულ მუშტეიდთა ვერაგული მკვლელობა. სპარსეთის 'მბრძანებელმა მოიმოქმედა ის, რის მაგალითიც ჯერ არა ყოფილა ირანის ისტორიაში, მაგრამ, წინააღმდეგ მოლოდინისა, ამ მკვლელობამ შახს დაუკარგა ნდობა იმათ თვალშიაც კი, ვისაც მისი პატივისცემა სრულიად არ ჰქონდა გულიდან აღმოფხვრილი. სწორეთ ამ მკვლელობას მოჰყვა, რამოდენიმე გავლენიან სასულიერო პირთა განდგომა და შახსევანების სათარ-ხანის მხარეზე გადასვლა.

დღეს დღეობით სპარსეთის რევოლიუციის გამარჯვება თითქმის უზრუნველ ყოფილია, თუ რასაკვირველია ევროპიელ აპეკუნებმა თავისებური შარები არ მოუდვეს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს და სპარსეთის შახი ჭანდრაკული მდგომარეობიდან არ გამოიყვანეს.

ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

---

*) ის უბანია თავრიზის, სადაც სათარ ხანი იყო გამაგრებული.

ᲣᲣᲠ-ᲛᲝᲙᲠᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

(რკინის გზის ვაგონში)

გელათის სადგურიდან დაიძრა მატარებელი. ვაგონში ბლომათ იყვენ იმერელი გლეხები. ჩქარა გაბეს ერთმანეთ შორის მუსაიფი, მეც სმენით განვეშტალე. მუსაიფი გლეხის საამბროვო საწირ-ბოროტო საკითხს ე. ი. საუნე მიწებს შეეხებოდა.

— დიდოტოს, ეე, ჩვენი ბატონი! ვიახელი ქუთაისში, მიგვართვი ძღვენი, მოგეითხე მიმიდო ქუხნაში, ერთი ჭიქა დვინოც მახუნვა ჩემი მიტანილი, დაეედრაჯე ეე და როგორც იქნა მოვრიგდით, სხვას წაართვა საუნე მიწა და მე მომცა.

— რა ბირობით ეიდე, ეე.

— ნახევარი სიმინდი სასიმინდეში უნდა ჩაგუეარო ჩალა ლობით და ფუჩეჩი სასახლეში უნდა მივართვა, ტერეთმა აგურთხოს.

— ეოჩალთ ეოფიდხარ ბასიდიკა, მე ვერც მასე ვეშოვე. ქრთამიც მივეეი მოურავს, მარა ვისაც შარშან ქოდა იმან ჯიბრზე მეტი მისცა ჩემზე და ისევ მან დეირჩინა ეე, ოდონდ კი წამერთმიოს და ბატონს ორ წიდს მიუტანდი.

გულმა არ მომითმინა და დაბარაკში ჩავერიე:

— ძმებო! თქვენ რატომ ეტიდეებით ერთმანეთს, ამაი ხომ აძვრებთ მიწის ბაკს? რატომ საერთო გადაწეეეტილებას არ ემორჩილებით?

იმერელმა გლეხმა უნდოს თვალით ამოთვალიერ ჩამოთვალიერეს, სახეზე შაში გამოეხატათ, ბასუხიც არ მადირსეს. დიდხანს ხმა არ ამოუღიათ, მერმეთ დაბარაკის საკანი შესცვალეს. დავდონკი, გამახსენდა წასული წლები, აკრარული მოძრაობა მთელი თავისი სიგრძე სიგანით, ერთობა, წელში გამართული გლეხი მეშამეულეთა ადამქა-თეტი და ასეთ მწარე და ტკბილ მოგონებაში მივედი ქუთაისში აქ გადაეკეჭა ბათუმისაკენ შამაკად მატარებელში, ქუთაისიდან გურული გლეხები მოდიოდენ—საოდენ სასამართლოში მოწმათ ეოფილიეკენ მაწვეული—ერთ მათკანს კახეთი ეკერა ხელში, სხვებს მის კარშეო მოეეარა თავი და გულმოდგინეთ უსმენდენ, დაიწეეს ახეფზე დაბარაკი:

— მაგისთანა იუდები რომ არ შეეარდიეკენ ბარტიაში რა გვიჭირდა ძმაკ, რეაქტია რას გვიზამდა რას ერჩი რეაქტიონერებს, როცა მოდადატეები შიგნით გეკენ..

— მაგისთანებმა და ქურდებმა გავიჭირეს საქმე, მაგინის მიზეზით ხოუბა ბრავაკეცია, თვარა ასე ვერ დაგეჯდებოდენ კისერში. რა მინდდა ახლა სუდში მაგაზე უფრო ძნელ საქმეს ვარჩევდით უფრო კარგათ.

— კეტის მეკვლელს შენ გონია იგინი მიაგნებდა ჩვენ რომ არ გამოგვეკეულია ეწინ?

— მიწის საქმე რაფერ არის ძმაო, თქვენში? შეგეკითხე.

ერთი ამხედ დამხედეს და ზრდილობიანათ მიბასუხეს.

— არც ისე, ჩვენ რომ გვინდა და არც ისე ჩვენს მტერს რომ უნდა. . მემამულეებმა იფიქრეს: რა კი ამდენხანს რებრენიამ არ იკადო, ქვეყანა ჩადით დეიხურა გონიათ, ვაი მათ წახდენს, გაფიცეა და ორგანიზაციუდათ შეკავშირება ჩვენგან ისწავლეს, მარა გუუჭირდებიან ჩვენი გულზე ხელის კვრა.

— რა იეო რას ფიქრობენ?

— ფიქრიი იტოტხდე ბეკერს ფიქრობენ; უნდებიან ძველებურათ ეადინწონ დედლები, მარა ვერ მივართვით. მაამუნები კი არ ვართ ოდათ უკან უკან წეეიდეთ. ეოდიფერი წაგვართვეს, ერთი აგი იეო მიწა შეგვრჩა ბრობგრამაზე და მაგას რავა დაკანებებით ვინმეს. ისე ახლა ასეა საქმე მემამულეები შეკავშირებას აბირობენ და ბატონს მობატებს, მარა ჩკენც ვემზადებით: „მომხიერს დამხიერი უნდა“. დემოკრატიულმა ორგანიზაციამ გადასწეეიტა გადასწეეიტა გაფიცვას გაფიცვით კასტეს ბასუხი, ახლა უკვდით ბარტი„დი რას გამოიმეუშვებს, ისე თუ კინდა მაგე'ნა გვირჩიოს: დაუომეთ უკან დაიხიეოთ, ჩვენ აგი არაფერობაზმდი არ შეეგეიძლია. ერთ წელიწადს და ორს კვიჭიჭი რომ ეჭამოთ მაინც არ ვიზამთ უბრაკრამოთ, მიწას მერე ოვიითან შეგვეხვეწეიან.

— მე როგორც გამიგონია გურიაში გლეხებს და თავად-აზნაურობას კარგი განწეობ

ეეა გქონდათ, ასურვეეია ისევ ერთი ეოთ ჭირში და ლხინში.

— კი დაგემართოს კაია, მარა თუ კი მგელი მგელობას არ მოიშლის და ცხვარს მარტეაი ამიზა ავქებს მსუქანი დუმა გაქვსო, რეფერ შეეეკაროს ცხვარმა? ამდენ ხანს იკი მგლები ცხვრის ტეკვში იეკენ კახეკეული, მარა მგლის კბილებს ილესვდენ თურმე. მადობა ღმერთს ვარსიზა კაკვიძლია და ამასაც გეუძლებთ.

— არა, კეკნი რეიზა არ მოგვა, ერთი მოთ'არი, დედა ნუ წაგიწედება, რომელი თავადი ან აზნაური ნახე, რომ ორსულათ იეო და მიწა დაბადა, თვარა თუ დასტურ ღმერთმა გაჩინა ეკვლაზა გაჩინა, ამუშაოს მანც და დედამისის ძუძუსვეთ შეარგოს მისი ნაოფლარი ღმერთმა,—ჩარია დაბარაკში ჭკადარა შერეული გლეხი.

— მაგი ეფერია ოჯო, მემამულეს კი გეეეძლებს კეტი უფრო ადვილი მოსახერხებელია, მარა ამ ხეტების ღრამის ფეხლის საქმე რაფერ იქნება არ ვიცი. თუ დასტურ ახლა იგინმა თორმეტ-ოორმეტი მანათი აკვადდეტ ქრისტიანობას მერე თათრობა მიჩრეკენია.

— რა გიჭირს მერე, ქეა მანიფესტში სარწმუნოების თავისუფლება.

— იქნილი სხვაიც ბეკრი ეწერა, მარა ქე ჩაგადნა ხელში.

— რაცხა იქნება იქნება, კამეტეეი და მიმწეკი ორიეე ღმერის ეხეკეებოდაო. რავაც ქეხს ისე არ წვიმს,

კას მიზამს კას უზამ, მიცნობს კაცთა ვიცნობ კაცთა, მეც კაცივით მივიღებ და ძალდათ მიცნობს კბენა მე მეკითხოს რაფერი უნდა. ეტერბურგში თუ ფერეკაცს უკბინე მინაური გოჭის ამბავი მე მკითხე.

— არაა ოჯო კაი აგი ასვარიე დასვარიე თვარა...

— არა მაგი იმითაა საწყენი, რომ აგი საქმე ეფე-დას ხელ აღებ შეკაკუდებს და ეფედაი კი არაა ერთი ჯოხით კასადენი: კაი და აგი მათშიც ქე ურეფია.

ხუტუაი.

საალდგომო.

ვით ფენიქსი განახლების
სახით აღზდგა დამარხული
და მძლეველი ფერად დროშით
მოტქრიალდა კაზაფხული.

დღემდე მხრე უსიცოცხლო
ჩაუვითლებულ—დათალხული,
საარსებო იერეფს ძალებს
მტრისგან ნაოხრ-ჭირ-ნახული.

ზე—იჭრება სიბრძოლეველათ
ხსნისა იმედ დაკარგული
და ამ ნახვით მეც შვებას ვგრძნობ
აღტაცებით ფეთქავს გული.

მწვანე ფარჩით იმოსება
ეფე მინდორი ეშხ-მოსული,
ნორჩ ჯეჯილით ფერადდება
ახოხ-ხირი მშრომელთა-ხრული.

გულს ზდვად უქცევს ბედ-შავ მოესველს
თვისი სარჩო ოფლ-ნაწური
და იმედით შემოსძახებს
კვლავ სიცოცხლე მონაწეური.

ზამრისაგან მეკანარი მდელო
ახურმეხტდა მრავალ ფერად,
იქ შაგი სტვენს საგნე გრძნობით
აქ ბულბული იქცა მღერად.

ცის სიერტეში მაერეულია
ჭარმონიულ სანატრელი,
ველს ამშვენებს ნაზი ია
სატრფიალო, საყვარული.

მაღალ მთიდან მარაკრაკებს
წმინდა წყარო მომჩქეფარე
და მზის სხივზე თვალს იტაცებს
ანაშხეფის სიელვარე.

მწვანე ბალახს დასრიალებს
ვით ისარი მეკირტალ-ფერტხალი
ფეხეულია... სჩქეფს სიცოცხლე
ველს ბუნების ძალთა-ძალი.

მზე კაშკაშებს სხივთა ფრფქვეკი
ნათალთ იქცა შავი—რიდე
„ზე-აღზდგა მტხოვარი“
ხმა გაისმა კიდით კიდე.

მ. ქუჩიშვილი.

გურული სცენა.

აბრეშუმის თესლი.

— ყაკს ისვამ წრეულს შე ქალო, თუ ფურ-ცლათ ყიდი ბეოლას!

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, თუ ხეირიანი თესლი ვიშონე, ვითამ დაეენა მინდა, გულს გადავა-ყოლებ, თავს შევიქცევ. ფურცლათ გაყიდვა, კაია კაი დაგემართოს, მარა შინაურმა კაცმა თუ არ გევიდა ზედ, სხვას რა ენაღვლება, მიჯადრავს, მოჯადრავს, ისე დაბელავს რომ საუკუნოთ დაა-კოლინებს ხეს და ყოლთვინ კაცმა სა მოიცალოს ზედ გასასვლელათ, ათხსი საქმეა. მაინც ამუარდა, დეიქცა ახლანდელი დროი, კაცი გეიწვა თუ რა ამბავია, არ ვიცი, მთელი დღეი და ღამე სოფლის საქმეზეა, დღეი ძველი თაობის საქმეს დასდევს და ღამე—შენგან არ გამომეფლავდება—ახალთაობისას.

— რა უყოთ მერე, შე ქალო, ვინც კაცია, ყველა ასთეა, რას იზამ, ახლა იმფერი დროია, ორივე უნდა გაეკეთო... მაინც ისე შენი გამოც-ილებით, ვის თესლს მირჩევ, ვის გამოვართვა, აფერი არ ვიცი, ყოველ აფხანიკობაში გამოწყუტა და გამეითიბა იგი, ვინცხამ აფხანიკობის საქმე შექანქა. ბოლო მიეღო იმის ბოლოის მომღებს; სანამდი აფხანიკობა იყო, თესლიც კაი იყო და მაზანდაც, ახლა არც ერთი ვარგა და მორე. ისთე ყოლი კაცი აქებს, ზოგი გაზეთში ანცხადებს, ზოგი ისე არიგებს განცხადებას, ჩემგან იკიდეთო. შენ რავა მირჩევ, ვისი აჯობებს თუ იცი?

— ამფერ დროზე რჩევა გლახაა, ქალო, მიაკვდე, მიაწყუტე, შენოულობა ბეოლი შიაჭამო და აფერი მევიდეს და მიზეზში მე ჩამაგდო და წყევლა დამიწყო, რაფერ ვქნა აგი, ისე სხვაზე უკე-თესის მოტანა დიმიტრეს იცის ცეცხლაძემ, სულუ-ხიასაც კაი თესლი აქ, ერთი არ ჩამვარდნია როი-საც კი მისი კეკალი დევიეინე ყველაი ჯარათ გა-მევიდა. ისე იმას არ გირჩევ გამოფუთქუნებულს რომ ყიდიან, გამოსვლით ყველაი გამუა, მარა ჯვარი აქანაი ოქროს საყვირი, სიკეთის დროს იცის ღალატი, რამდენი ზეით შეყობა, იმდენი ქვეით ჩამუარდება .. ისე ჩვენ რომ ერთი პირი და ღჯილი გვქონდეს, ყოველ წელიწადს კაი თესლი გვექნება, რა გვიჭირს რომე ჩვენ გამეეიწეროთ თვითონ ერთი კაციდგან, თესლიც კაი იქნება, გამოსვლაც კაი ექნება, ცახზეც კარგათ გავა და პარკსაც კას გაეკეთებს, არც ნაკვდავი გაგვიარს და რაცხა ორ კაპეიკსაც გამოვრჩეიბთ...

პიტნა.

„პირველი სიმღერა“

ვით სიდუმლო ზიარებისთვის
ზეცის შეუფეთ ალსაღლის კარად
მოხუცი მწირი დოცვად ემართვის,
ისე ვილტოდი მე შენსკენ მარად...
ამბორის ეოფა განმეურნებდა
სევდით დასერილ, დატანჯულ გულსა,
განმაბრწყინებდა მწუხარე სახეს,
თვალებს ცრემლებით ამონამულსა,
თან კითხუსავდი დოცვებსა წმიდას,
მას ვუთანხმებდი ჩემ გულის ძგერას,
ოდეს გიმღერდი, ჩემო სულის დგმაკ,
შენს სტრფიალთს პირველ სიმღერას!

—

ხშირად ცხოვრების თვალუწვდენ ცახე
ტკბილი იმედის ალთი წუდებოდა,
უსასოება იპერობდა გულსა,
უკან დახევის ჟამი დგებოდა,
წამსვე ოცნებით წარმოიდგენდი
ძმებს, საფლავებში დაძინებულებს,
შაკი ტეგეებით გულ დახვრეტილებს,
უდროთ მოკლულებს დამწებულებს,
შუბლს ვუკოცნიდი... ნუკეშს ვაძლევდი
დაობლებულსა ჩაგრულთა კერას,—
ასე გაწერდი ჩემო ძვირფასო
შენს სადიდებელს პირველ სიმღერას!

—

ვით იდუმალი დამის ნიავი
ფოთლებსა ზვერავს თვალუწვდენ ტეეი
და ქარათ შლიდი დიდის სხეებზე
სადაც ჩაკვდებს ტიკბთ კლდეში,—
ისე ვიდოდი ჩემი ოცნებით
ცხოვრების ტეეშ. თავგანწირულთ
და ნაცნობ.ნაფიქრს, ვით ქარიშხალი,
მე ვუუვებოდი არეს გმირულად...
რომ შეკვდომოდი არად მიჩანდა
კეთ ეულქვაობას, კლდესა ფრიალთს,—
ოდეს გიმღერდი პირველ სიმღერას,
ჩემო ლვთაებავ, შენს სტრფიალთს!

—

სრულად ვერ მიგწვდი.. შენი მშკენება
ვერ გამოუთქვამს უძღურ ენასა,
მაგრამ ვმსახურე, მაინც ვმსახურებ
შესისხლხორცებულ ერთხელ რწმენასა!
სრულად დავიკვდი სამშობლო ველებს,
ბორათ ურთ-ერთში აკინძულებსა,
ჩაგწვდები იმთ დეოიურ შვენებს
და შეგითვისებ მთსა ენებსა...
ამ ძნელსა გზასზე შეგურიგდები
ეოველ გასაჭირს და ბედის წერას—
და კვლავ, შეგითხზავ, სტროფად ეულთსავ,
შენს სადიდებელს ტკბილსა სიმღერ ას!

იასამანი.



გამოცანა გმრგვეგა!!.

(ესეიზი)

მე ეხლა ჭიათურაში ვცხოვრობ და სწორეთ მოგახსენოთ კმაყოფილიც ვარ ჩემი ბედისა!! ანკი როგორ არ ვიყო კმაყოფილი?. ფულებს ბეტირივით ვლებულობ, ხუმრობა ხომ არაა!! ამ ორი-სამი წლის წინათ მე ჭიათურას მხოლოთ გაზეთებით ვიცნობდი, მეტი არაფერი. მაგრამ შემდეგ, როდესაც მოვიყნოსე, რომ ამ ადგილზე ფულის მოგებაც შეიძლებოდა მეც დედაბოჭიანათ აქ ამოველაგე.—წინათ არა მქონდარა, ან ვინ რას მომცემდა?.. საკუთარი ხელით შრომა ძლიერ მეზარებოდა და ვაჭრობა კი ჯერ არ დამეწყო. პირველ ხანებში სხვის კარათ ვცხოვრებდი, როგორც ხელ-მოკლე კაცი.—შემდეგ დავრწმუნდი.რა, რომ ჩემი პირადი ბედნიერებისათვის სულ სხვა რამ იყო საჭირო, ეს იყო რეკლამა—საკუთარი თავის ქება-დიდება, რომლის წყალობით ხალხს ჩემთვის ყურადღება უნდა მოექცია და აი, სწორეთ ამ მიზნით, მოველ თუ არა, თავი ხალხისთვის წამებულათ გამოვაცხადე, ეს-დეკათ მოვინათლე!!. ნათლიადაც თითონ მე გახლდით!!. (ამ დროს ეს-დეკებს დიდი გავლენა ჰქონდათ). როგორც საზოგადოთ ცნობილი, ზოგიერთებს ჭკუა თვალში უზისთ და იმათ მოსახიბლავათაც საშვალება მზათ მქონდა: ეს გახლდათ ევროპიულად ჩაცმა-დახურვა... არასოდეს ამ შავ ჭიათურაში უბრალოთ ჩაცმული არ გამივლია!!. ჩემი სუფთა და ძვირფასი ტანისამოსი, კრახმალის მაღალი საყელო, დინჯი და აუჩქარებელი, კამეჩის მსგავსი სიარული, მართლაც რომ ,,განათლებული'' და ჭკვიანი კაცის

სახეს მაძლევდა!!. სტყუვდებით უბადრუკო მუშებო, სტყუვდებოდით ქიათურლებო, მე არც ეს-დეკი ვიყავ და არც არაფერი!!. ჩემ გულში იჯდა ერთად ერთი მიზანი—გამდიდრება—და აი ძლიერ სისწრაფითაც გავექანე აქეთ!!. მე არა მწამს არავითარი კეთილი, არა მწამს ხალხი, მე ვიცნობ მხოლოთ საკუთარ თავს და საკუთარი ბედნიერებისათვის ყოველ ზომას ვხმარობ!!. მე ეხლა გემრიელი ლუკმა მაქვს. მე ეხლა ერთ-ერთ ,,გამოჩენილ‘‘ კანტორაში ვმსახურებ და მრავალი მუშა-ჩალვადრების ბედ-იღბალს ჩემი სურვილების თანახმად ვატრიალებ.—ჩემმა ,,გამქრიახმა‘‘ ტვინმა სძლია ჩემ ,,ხაზეინთა‘‘ კარგა ხნის ვაჭრობაში გათქვეფილს ტვინს და გამარჯვებაც მე დამრჩა!!. ეხლა ამხანაგათაც გახლავარ!!. უკაცრავათ, აქ ცოტას შევჩერდები და ცოტა ხნით ისევ ჩემი ცხოვრების ,,ლოღიკას‘‘ დავუბრუნდები:—ბ-ნებო, მე ძლიერ მომწონს კანონის ერთი მუხლი, რომლითაც მტყუანიც და მართალიც ერთნაირად გამოძვრებიან საქმიდან: კანონით ისჯება ყოველი ცილისმწამებელი, რომელიც ვერ დაამტკიცებს თავის ბრალდებას.—ეს მუხლი კანონისა ძლიერ ეწევა და ამაგრებს ჩემს პოზიციას!!.—მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ცუდი კაცი, როდესაც ის ბოროტებას ჩადის, ქვეყანას არ უყვირის მე ამ საქმეს ჩავდივარო, ის უთუოდ ამ საქმეს ისე ოსტატურ-ქურდულათ სჩადის, რომ მას კანონით ძლიერ ძვირათ თუ სწვდება ვინმე კისერში!!. ვსარგებლობ-რა ამ თვალსაზრისით, აბა გაბედეთ ბატონებო ამის შემდეგ ჩემი შეურაცხყოფა!?.—იმ წამსვე ქვეყანას შევაწუხებ, გამვლელ-გამომვლელს ქუჩაში აღარ გავატარებ, მედიატორულ სამართალში გაგიწვევ, პასუხისგებაში მიგცემ!!.—გადავდივარ ჩემ სულიერ მდგომარეობაზე:—დეე რამდენიც უნდა ურტყან წიხლი გატყაულმა მუშებმა ჩემს კანტორას, დეე რამდენიც უნდა მაგინონ,—ჩემთვის საკმარისია, დინჯათ ხელი გადაუქნიო მარჯვნივ და მარცხნივ: ნიშნათ იმისა, რომ ფული არაათქო და მორჩა!!. მე რას ვეძებ, ვის რა აწუხებს, მე რას დავდევ, თუ რომელიმე ჩემს მუშას მომაკვდავ დედისთვის წამალი ეჭირვება, როდესაც საქმეს „გადავატრიალებ“—მაშინ მივცემ.—კანონითაც ვერვინ რას დამაკლებს. ბედნიერი ვარ ბატონებო, ბედნიერი!!. ფულები ათასობით მოვიგე. ცოლშვილსაც კარგათ ვაცხოვრებ. ოღონდ კი ჩემ ცოლს „მოდნი“ ტანისამოსი არ დააკლდეს და რას ვჩივი თუ ჩემი მუშების ცოლებს ჩითებიც კი არ ეცმევათ!!. უკაცრავათ, ჩემი საკუთარი ტიპის ერთი „დიადი“ მხარე კინაღამ დამავიწყდა: ეს გახლავთ ის, რომ მე ძლიერ მიყვარს სხვის გულში ფათური,—ჩემი გული კი, როგორც მეტეხი—შეუვალია. მე ძლიერ მიყვარს და ვერთობი, როდესაც სხვის თვალებში ბეწვებს ვძებნი, როდესაც ჩემ თვალებში დვირეებს თითქო ვერც კი ვხედავ!!. აბა ქიათურელო მოქალაქევ!.. თუ გამომიცნობ, გამოცანა გერგება!!.

იონა თლუღელი.

დაკვიანებული მილოცვები.

შემოქმედში.

კ. არობელიძეს.

უნდა კოწოს მივულოცოთ
ქრისტე აღსდგა, უხაროდეს...
მაგრამ ვიცი მას ის უჯობს
მუდამ ბნელი რომ მეფობდეს.

აღარ ახსოვს მაცხოვარის
გვერდი შუბით, გახვრეტილი:
როგორც იყო ისევ ისე
არის დიდი გაღლეტილი.

იქვე.

კაკაც-ოღლის შვილს არ შეგშვენის
მათრახი და გინებაო,
ნურც კოწიას დაუჯერებ,
თუ ეს არ გეწყინებაო.

,,ჭეშმარიტ სტრაუნიკებს‘‘.

სკანი ჭირი შემეყაროს,
არგე უნდა გინებაო,
გლეხ-კაცებსა ოკო, ოკო,
მართახისა ცხუნებაო,
ჭითა რაზმი აღარ არის,
ვისი შეგვეშინებაო.

ოზურგეთი.

პლატონს.

რა კაია ჩაის ვარდი,
რომ არ გახუნდებოდესო,
ორატორი, ბრძენი პლატონ,
რომ არ დამუნჯდებოდესო.

ოზურგეთის უპრავას.

პროექტებით თავდგირიძემც
ვერ აგაყვავაო,
და ახლაც ენათ წასულა
მთელი უპრავაო.

პაუ პაუ.



ორი ეშმაკი

საიდუმლო საუბარი.

მეორე. ვგონებ ცუდათ მიდის, მეგობარო, ჯოჯოხეთის საქმე!..

პირველი. გაიგე რამე?

მეორე. საიდუმლო ცნობაა: პურიშკევიჩი მეარცხნეთა ფრაქციაში გადასულა.

პირველი. ო ჰო ჰოოო!!! მერე სხვები?

მეორე. სხვები ზოგი კადეტებში ჩარიცხულან, ზოგი ტრუდოვიკებში. ხომიაკოვს უთქვამს: მე ვმალავდი, თორემ სულით და გულით სოციალ-დემოკრატი ვიყავიო.

პირველი. ოჰო ჰოოოო! მარკოვ მეორე რა აზრისაა?

მეორე. მარკოვი ამბობს, ებრაელებს არამც თუ თანასწორობა, მეტი უფლებებიც უნდა მიენიჭოს, ვიდრე ჭეშმარიტ რუსებსა აქვთო.

პირველი. კაცო და, რამ გადარია ეს ხალხი?

მეორე. განა მარტო ესენი გადაირივნენ!.. ერთი უნდა გენახა სულთანი აბდულ გამიდი რასა შვება. დაუჭინია იმ დალოცვილს: „ე უბრალო კონსტიტუცია რის მაქნისია, მე ურესპუბლიკოთ გაძლება არ შემიძლიანო“.

პირველი. რას ამბობ, ამხანაგო, სად სულთანი და სად რესპუბლიკა.

მეორე. მეც ძალიან მეუცხოვა, მაგრამ როცა ყუთარი თვალითა ვნახე, როგორ არ დამეჯერა!..

პირველი. ახალგაზრდა ოსმალნი რა გზას ადგანან.

მეორე. ისინი თვით-მპყრობელობის აღდგენას თხოულობენ, მაგრამ სულთანი და ქიამილ-ფაშა არ ანებებს.

პირველი. რაღაც დაუჯერებელია.

მეორე. შენ ალბათ აღარც იმას დაიჯერებ, რომ ქართველ თავად-აზნაურობას გადაუწყვეტია, რაც ზედმეტი მამული აქვს, გლეხებს დაურიგოს უსასყიდლოთ...

პირველი. კარგი ერთი, თუ ხათრი გაქვს.

მეორე. წაიკითხე „დროებაში“ და დარწმუნდები.

პირველი. სამწუხარო ამბავია!

მეორე. და განა აქ თავდება ჯოჯოხეთის მწუხარება?! სპარსეთის შახს გადაუწყვეტია, თავისს სამფლობელოში სრული ანარქისტული წყობილება დაამყაროს, რისთვისაც გაუწერია რამოდენიმე ცალი ქართველი ანარქისტი.

პირველი. ვინ წავიდა ნეტავ?..

მეორე. კაი ბიჭებიაო, ამბობენ. სათარხანი მოითხოვს: „შახის თავიდან ერთი ბალანი არ უნდა ჩამოვარდესო“.

პირველი. კი მაგრამ, ქერწლი თუ გაუჩნდა?

მეორე. ქერწლი ხომ რევოლიუცია არ არის, შე დალოცვილო, რაღაცა სულ გამოიცვალა ქვეყნიერება.

პირველი. რა მოხდა ნეტავი?

მეორე. აბა ვინ იცის რა მოხდა. ავსტრიამ უკვე აჩუქა სერბიას ბოსნია გერცოგოვინა და ყოველივე ხარჯებიც აუნაზღაურა.

პირველი. სწორედ პატიოსანი კაცი ყოფილა ბარონი ერენტალი.

მეორე. შე კაი კაცო, ბარონი მაშ ცუდი როგორ იქნებოდა. დღეს „ივერიაში“ სწერია იაპონიის პრინცი ჩამოვიდა პეტერბურგში და განაცხადა, რომ იაპონია უბრუნებს რუსეთს პორტ-არტურს, მუკდენს და ცუსიმასაო. დეპეშებიც ნათლათ მოწმობენ ამას.

პირველი. ჩინეთი რაღას ამბობს?

მეორე. ჩინეთიცა და კოწია თუმანოვიც დიდი მოხარულნი არიან ამ გარემოებისა.

პირველი. კოწიას რაღა უხარია?

მეორე. ისა, რომ მთავრობის პოლიტიკამ გაიმარჯვა! დამწუხრებული არც გვაზავა არის თურმე, ვინაიდან თფილისის ვექილებს გადაუწყვეტიათ აგენტურის მოსპობა.

პირველი. ეს რაღა ღვთის რისხვააო. საწყალი ხალხი ლუკმა პურს შოულობდა?

მეორე. ერთი სიტყვით ცუდი დრო უდგება ჯოჯოხეთს. წარმოიდგინე წერა-კითხვის საზოგადოებას დაუდგენია სოფ. ცხვარიჭამიაში (თიანეთის მაზრა) უნივერსიტეტი გახსნას ჯერ მხოლოდ ხუთიოდ ფაკულტეტით. ხალხი ამ მხარეში თურმე ძალიან ჩამორჩენილია განათლების მხრივ საქართველოს სხვა კუთხეებზე. სამეურნეო საზოგადოებას, სამინისტროსთან შეთანხმებით უკვე შეუდგენია გეგმა პოლიტეხნიკუმისა სამეურნეო განყოფილებითურთ, რომელიც უნდა გაშენდეს ერისთვისეულ მამულში მყინვარის წვერზე.

პირველი. რაღა ახლა დაეწაფენ ამ განათლებას, ვეღარ გამიგია?

მეორე. მარტო განათლებას ხომ არა. მეტეხის ციხის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ აღნიშნული საპყრობილე ან ინსტიტუტად, ან სახალხო უნივერსიტეტად გადააკეთონ. მინისტრთა საბჭო სიხარულით შეჰგებებია ამ კითხვას. ასევე მოქცეულა თურუხანის ოლქის უფროსი. ის იწერება თურმე, რასაკვირველია სამინისტროში, რადგანაც აქეთ ცივი ჰავაა და კავკასიელ გადმოსახლებულებს ძლიერ ვნებს, ამიტომ გთხოვთ მხარეში ფეჩები დადგათ ჰაერის გასათბობათო.

პირველი. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს. ნუ თუ ასე უცებ გამოიცვალა ქვეყნიერობა.

მეორე. წარმოიდგინე, მეც ერთობ განკვირვებული ვარ. დღეს „დროება" მეთაურში სწერს: „ქართველი სოციალ-დემოკრატების ღვაწლი ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩვენი მოკლე აზრით არც განიზომება. არა ს.-დ., არამედ ჩვენ შევარცხვინეთ და ვარცხვენთ ქართველ ეროვნებასო". ეს რაა. გვაზავას „ივერიაში" გაუკეთებია ლექსი, რომელშიაც „გოგუცანების" ალერსთან ერთად, კარსეტის ხმარებასაც გმობს.

პირველი. სწორედ შეშლილა ქვეყნიერობა.

მეორე. გრიგოლ რობაქიძეს აღარ იკითხავ? „ივერიაშია" სწერს: „ჩემი „ხეთქილი" ლექციებით უკვე დავხეთქე ჩემმიმდევარ „არარაობათა" თავები. ახლა თითონაც დავრწმუნდი, რომ მართლაც ჯამბაზივით ვატრიალებ ენასა და პერიფერიებს (თავსა და ხელ-ფეხს). ამიტომ გადავწყვიტე შემდეგი ლექცია უფრო უფოკუსოთ წავიკითხო თუ მოვახერხეო".

პირველი. ყოჩაღ ფილოსოფოსო!!!

მეორე. ყოჩაღ მე, რომ ამდენი ტყუილი მოგახსენე. დღეს, ძმობილო, პირველი აპრილია!!!

პირველი. უკაცრავად შენთან, ძვირფასო ამხანაგო, რომ მეც მოგატყუე, რადგან შენ გეგონა მე დავიჯერე შენი ზღაპრები!

მეორე. მაშ ვინ არის მოტყუებული?

პირვლი. ვინ არის და მკითხველი!.

***

ადიძრა ქარი
ცივ-ბობოქარი:
თოვლი ითვისა, იძმო ზამთარი;
წანამქრა გზები,
დაბურა მთები,
ყინვას აშვილა მინდვრის კალთები;
ტყე თოვლს ამონა,
მკერდს ჩააკონა,
სიცოცხლე აკრთო და ჩაალონა:
მზე სხივ კრიალა,
ალმას-ბდღვრიალა
ნისლის მორევში აატრიალა;
გამეფდა ბნელი
ქმუნვის აღმძვრელი,
შეკრთა, დადუმდა, ოხრავს ყოველი...
და, მზე ცხოველი,
შვების მყოფელი,
რომ გამობრწყინდეს ნატრობს სოფელი.

ბერშუელი.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ახალი დრამა

პ. ირეთელისა

ქრისტინე

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნი შეიცავს 80 გვერდს. დაბეჭდილია სუფთად კარგ ქაღალდზე და ღირს ერთი აბაზი.

შემოსავლიდან 10% გადაეცემა ნინოშვილის ფონდისათვის.

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома Т. Е. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.

ფ ო ს ტ ა.

ბათუმი ხომალდს. თქვენ იწერებით „ქრისტე აღზდგა“-ო. ჭეშმარიტათ აღსდგა! მაგრამ ლექსს მაინც ვერ ვბეჭდავთ.

ხაშური. ქარიშხალიძეს. დარწმუნებული ვართ თქვენ გსურდათ დაგეწერა „აღდგომა ხაშურში“ და დაგიწერიათ „ქრისტე აღსდგა ხაშურში“ ქრისტე როგორც მოგეხსენებათ პალესტინაში ცხოვრობდა, იქვე აწამეს, დაასაფლავეს და ხაშურში აბა საიდან აღსდგებოდა.

სიღნაღი. მონადირეს. თქვენი ლექსი ძლიერ გვაგონებს ცნობილ „ნიშადურელ“ მონადირის ნაწარმოებს თავისი სიმყრალით. ლექსს ვერა ვბეჭდავთ და ვერც იმაში გეთანხმებით თითქო ეს სიმყრალე ქალაქ სიღნაღის სიბინძურეზე იყოს დამოკიდებული.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3.
გამომცემელი პარ. ი. ომიაძე.

2158
1909